ბრძანება:**ბ20. 20230052**

თარიღი:**05/01/2023**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ (დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ვ", „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დანართი N1 -ის შეშესაბამისად, (დაფინანსების წყარო სახელწიფო ბიუჯეტი).

2. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის - შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება დამტკიცებული გეგმის

შესაბამისად და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პროექტების მომზადება.

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობის დღიდან

ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ს. ჯორბენაძის №30).

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი